ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №16

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 2017 წლის 23 იანვარი

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული წესის საფუძველზე, შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ, აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობას (იურ. მის. კ. ხეთაგუროვის ქ.№2 (ფაქტ. აღმაშენებლის გამზ. 89/24) კოდი 249273165; ტელ: 2953289, საბანკო ანგარიში: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხაზინა) წარმოდგენილი ხელმძღვანელის - **დემურ კეკელიას** (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ შპს „ივერსი" (იურ. მისამართი ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქ. 8, ფაქტიური მის. ქ. თბილისი, ვ. ფშაველას გამზ. №2; საიდ.კოდი 205077593, TBCBGE22 ანგარიში GE73TB1137536020100003; ტელ: 225 39 82; 225 39 82; 238 09 86) წარმოდგენილი გაყდვების მენეჯერის – **გიორგი ტუსიშვილის** (შემდგომში მიმწოდებელს) შორის.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული საქონლის (ტონერიანი კატრიჯის CPV30125100, ლაზერული პრინტერის CPV30232110, კომპიუტერული მოწყობილობისა და აქსესუარების CPV30200000 და სატელეკომუნიკაციო კაბელის CPV32521000 შეძენა გამარტივებული შესყიდვის ფორმით.

3.2 (საქონელი) მიღებული იქნება შემდეგ მისამართზე ქ.თბილისი, ვ. ფშაველას გამზ. №2.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **835,46** (რვაასოცდათხუთმეტი და 46 თეთრი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები ხელშეკრულების გაფორებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში. იგი პასუხისმგებელია (გაწეული მომსახურეობის) ხარისხსა და ვარგისიანობაზე.

5.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას შესყიდული საქონლის (გაწეული მომსახურების) ღირებულება.

5.3. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

5.4. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

5.5. მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

საქონელი მიწოდებულად (მომსახურება გაწეულად) ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმების შემდეგ.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის ბრძანებით სახელმწიფო შესყიდვებზე პასუხისმგებელი პირი სვეტლანა ციკოლია.

8. მიწოდებული საქონლის (გასაწევი მომსახურების) ხარისხი და გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი (გაწეული მომსახურება) არ იქნება დაზიანებული (არ გამოავლენს ხარვეზებს) და იქნება მოხმარებისთვის ვარგისი

(შესრულებული - იქნება მახალხარისხოვნად), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს დაზიანებული და უვარგისი საქონლის შეცვლა (გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება).

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

9.2 ანარიშსწორება მოხდება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმებიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში:

9.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

9.4 **წინასწარი ანგარიშწორების შემთხვევაში** შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი უნდა იქნეს (მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს) წინასწარ გადახდილი თანხის შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტია.

10. ფასები

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი საქონლის (გასაწევი მომსახურების) ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.

10.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის **შეცვლა ხელშეკრულების** მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია საცალო ფასის (გასაწევი მომსახურების განსაზღვრული ფასის) გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

10.3. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება **უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების** დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების **განუყოფელ ნაწილად.**

12. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

13. სუბ-კონტრაქტორები

13.2 იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტის დადების ან სუბ-კონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან **წერილობითი** თანხმობა.

13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში **დადებული ყველა სუბ-კონტრაქტის ასლი უნდა** წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.

13.4 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის **დაუბრუნებლობას.**

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს **მხარეებისათვის გადაულახავ** და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან **დაკავშირებული** შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, **რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ** უნდა **გაუგზავნოს** მეორე მხარეს **წერილობითი** შეტყობინება ასეთი **გარემოებების** და **მათი** გამომწვევი **მიზეზების** შესახებ. თუ შეტყობინების **გამგზავნი** მხარე **არ** მიიღებს **მეორე** მხარისაგან **წერილობით** პასუხს, **იგი** თავისი **შეხედულებისამებრ,** მიზანშეწონილობისა **და** შესაძლებლობისდა **მიხედვით** აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების

შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

15.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 5.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 1% ოდენობით.

15.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

15.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

16.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

16.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

16.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

17. დავების გაწყვეტის წესი

17.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა დონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

17.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

18. სხვა პირობები

18.1 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

18.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველი ორგანიზაცია	**მიმწოდებელი:**
აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა ხელმძღვანელი	შპს „ივერსი" გაყიდვების მენეჯერი
დემურ კეკელია	**გიორგი ტუსიშვილი**

ხელშეკრულების დანართი

#	შესყიდვის ობიექტის დასახელება	ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	მთლიანი ღირებულება	კოდი
1	ტონერიანი კარტრიჯი	ცალი	8	24,08	192,64	30125100
2	ტონერიანი კარტრიჯი	ცალი	2	23,16	46,32	30125100
3	ლაზერული პრინტერი	ცალი	1	401,72	401,72	30232110
4	ენერგომომარაგების აქსესუარები	ცალი	1	3,08	3,08	30237280
5	კომპიუტერთან დაკავშირებული მოწყობილობა	ცალი	2	89,60	179,20	30230000
6	სატელეკომუნიკაციო კაბელი	მეტრი	50	0,25	12,50	32521000
	სულ				835,46	

აღმოსავლეთ საქართველოში
აფხაზეთის ავტონომიური
რესპუბლიკის მთავრობის
წარმომადგენლობა

ხელმძღვანელი

დემურ კეკელია

შპს "ივერსი"

მენეჯერი

გოგი ტუსიშვილი